ეროვნული ბიბლიოთეკა
წიგნის პალატა 1932 წ.
№ 401

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. აგვისტოს 15. № 18 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო დაზღვევა.

143. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1933 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა

143. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1933 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

„სოფლებსა და ქალაქებში 1933 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივნისის 10-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 46, მუხ. 272) და „1933 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ მიღებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 27-ის დადგენილების (ოქმი № 10, § 7) თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი 1933 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარებისათვის საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სავალდებულო საგანაკვეთო წესით დაიზღვევა შემდეგი ქონება:

ა. კოლექტიურ მეურნეობებში (სას.-სამ. კომუნებში, სას.-სამ. არტელებში და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ ამხანაგობებში):

ა) შენობები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმონი (გაწყობილობით), რთული სას.-სამეურნეო ინვენტარი და მექანიზებული ტრანსპორტი, მინდვრის და ველის მთელი პროდუქცია (სათესლე, სასურსათო და სასაქონლო)—ცეცხლისაგან და სხვა სტიქიურ უბედურებისაგან, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ქარიშხალი, გრიგალი და ნიაღვარი;

ბ) სასოფლო-სამეურნეო მცენარეები—დასეტყვისაგან და აგრეთვე ნიაღვრისა და ქარიშხალისაგან, რაც თან მოჰყვა დასეტყვას;

გ) ბამბისა, თამბაქოს, სოიას, კენაფისა, აბუსალათინისა, არახისისა, კუნჯუთისა და სუძას ნათესები—მოუსავლიანობისაგან;

დ) სელისა და კანაფის ნათესები—გვალვისაგან;

ე) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 წლიდან—სიკვდილისაგან;

ვ) ცხენი, აქლემი და ვირი 2 წლიდან—სიკვდილისაგან;

ზ) ცხვარი, თხა და ღორი 6 თვიდან—სიკვდილისაგან;

თ) ჯიშიანი საქონელი 6 თვიდან—სიკვდილისაგან.

ბ. ინდივიდუალურ მეურნეობებში და კოლ[illegible] მეურნეთა მეურნეობებში (არაგანსაზოგადოებ[illegible]ლი ქონება):

ა) შენობები, სასოფლო-სამეურნეო და სა[illegible] რეწველო საწარმონი (გაწყობილობით)—ცეცხლ[illegible] საგან (ქალაქად), ხოლო კოლმეურნეთა შენობებ[illegible] იზღვევა აგრეთვე შემდეგ სტიქიურ უბედურ[illegible] ბისაგან: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი [illegible] ზვავი (ქალაქებში);

ბ) სასოფლო-სამეურნეო მცენარეები—დას[illegible] ტყვისაგან და აგრეთვე ნიაღვრისა და ქარიშხ[illegible] ლისაგან, რაც თან მოჰყვა დასეტყვას;

გ) ბამბისა, თამბაქოს, სოიას, კენაფისა, აბ[illegible] სალათინისა, არახისისა, კუნჯუთისა და სუძ[illegible] ნათესები—მოუსავლიანობისაგან;

დ) სელისა და კანაფის ნათესები—გვალ[illegible] საგან;

ე) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 წლ[illegible] დან—სიკვდილისაგან;

ვ) ცხენი, აქლემი და ვირი 2 წლიდან—[illegible] კვდილისაგან;

ზ) არ დაიზღვევა;

თ) არ დაიზღვევა;

შენიშვნა. ნუსხა იმ რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მექანიზებული ტრანსპორტისა, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო საგანაკვეთო წესით, აღნიშნულია 1-ლ დანართში. კოლექტიურ[illegible] მეურნეობებს უფლება აქვთ წარადგინონ დასაზღვევად სავალდებულო საგანაკვეთო წესით სხვა სახის სამეურნეო ინვენტარიც, რაც კოლექტიური[illegible] მეურნეობის საინვენტარო აღწერილობაშია.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი დაზღვევის სახეები გატარებულ უნდა იქნეს ყველა იმ ადგილას (ერწო-თიანეთის რაიონის სოფ. ხაშალის გარდა), სადაც ეს სახეები აქამდე გატარებული იყო (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილება—საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. №-17 №-ი, მუხ. 272).

3. შენობებისა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა (გაწყობილობით), და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, მინდვრისა და ველის პროდუქციის ზარალისათვის კოლმეურნეობებს ეძლევათ სადაზღვეო საზღაური ქონების სრული ღირებულებით საინვენტარო აღწერილობის თანახმად. კოლმეურნეობებს შეუძლიანთ დააზღვევონ თავიანთი შენობები, საწარმონი, გა[illegible]

წყობილობა და ინვენტარი საინვენტარო ღირებულებაზე მეტადაც, საფინანსო ორგანოების შეფასების მიხედვით.

4. შენობებისა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა (გაწყობილობით) ზარალისათვის (ქალაქებში) ინდივიდუალურ მეურნეობებს და კოლმეურნეებს სადაზღვეო საზღაური ეძლევათ სრული ღირებულებით შეფასების თანახმად, ხოლო კულაკურ მეურნეობებს და იმ პირებს, რომლებიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგების თანახმად, სადაზღვეო საზღაური ეძლევათ შეფასების 50% რაოდენობით.

5. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების—სეტყვისაგან და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების—სიკვდილისაგან დაზღვევის შემთხვევაში სადასაზღვეო საზღაური გაიცემა იმ მტკიცე ნორმების მიხედვით, რაც აღნიშნულია მე-2 და მე-3 დანართში.

6. კოლმეურნეობებს შეუძლიანთ დააზღვეონ თავიანთი ცხოველები მათი სრული ღირებულების რაოდენობამდე, საინვენტარო აღწერილობით, და აგრეთვე საინვენტარო ღირებულების მეტი რაოდენობითაც, საფინანსო ორგანოების შეფასებით. ჯიშიანი და აგრეთვე გაუმჯობესებული ჯიშის საქონელი კოლმეურნეობებში უსათუოდ და იზღვევა მისი სრული ღირებულებით.

7. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოუსავლიანობისაგან დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური გაიცემა დანაკლისის ღირებულების რაოდენობით, მტკიცე სადამზადებლო ფასების თანახმად. დანაკლისად ითვლება განსხვავება მეურნეობის მიერ მთლად დაზღვეული კულტურის ფართობზე მიღებულ ნამდვილ მოსავალსა და უწყებული ადგილისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ მოსავალს შორის. პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები აღნიშნულია მე-4 დანართში.

8. სელისა და კანაფის გვალვისაგან დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური გაიცემა დანაკლისის ღირებულების რაოდენობით მტკიცე სადამზადებლო ფასების თანახმად. დანაკლისად ითვლება განსხვავება მეურნეობის მიერ მთლად დაზღვეული კულტურის ფართობზე მიღებულ ნამდვილ მოსავალსა და პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ მოსავალს შორის. ამასთანავე უკეთუ მოსავლის დაკლებაზე იმოქმედა, გვალვის გარდა, რაიმე სხვა სტიქიურმა მოვლენამ, ამ მოვლენით გამოწვეული ზარალი არ აინაზღაურება. სელისა და კანაფის დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები აღნიშნულია მე-5 დანართში.

9. სადაზღვეო საზღაური ამ დადგენილების თანახმად გაიცემა იმ ზარალისთვის, რაც მოხდება 1933 წ. იანვრის 1-დან, ხოლო 1933 წ. იანვრის 1-მდე მომხდარი ზარალი აინაზღაურება თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1932 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 162 და მე-15 №-ი, მუხ. 181).

მოუსავლიანობისაგან დაზღვევისა და აგრეთვე სელისა და კანაფის გვალვისაგან დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური, ამ დადგენილების თანახმად, გაიცემა აგრეთვე 1932 წ. მომხდარი ზარალისათვისაც.

10. დაწესებული ნორმებით გამოანგარიშებული ზარალი აინაზღაურება მთელი თანხით მხოლოდ ქონების სრული დაღუპვის შემთხვევაში; ქონების ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში გაიცემა ამ თანხის სათანადო ნაწილი.

11. სადაზღვეო საზღაურზე, რაც კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს ერგებათ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისათვის, არ შეიძლება მიიქცეს რაიმე ვალის გადახდევინება, რაც მათ ჰმართებთ სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირებისა, სავალდებულო საგანაგვეთო დაზღვევის გადასახადისა და ამ გადასახადის ნარჩენის გარდა.

12. კოლექტიური მეურნეობების კუთვნილ შენობათა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა (გაწყობილობით), სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, მექანიზებული ტრანსპორტისა, მინდვრისა და ველის პროდუქციის ცეცხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან დაზღვევისათვის დაწესებულია სადამზღვეო გადასახადის შემდეგი განაკვეთები (ტარიფები), დაზღვეული თანხის 100 მანეთზე: სოფლად—45 კაპ., ხოლო ქალაქად—23 კაპ.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია ნათესების დაზღვევა სეტყვისაგან, კოლმეურნეობების კუთვნილი მინდვრის და ველის პროდუქციის ცეცხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან დაზღვევისათვის სადაზღვეო გადასახადი არ გადაიხდევინება.

13. ინდივიდუალური მეურნეობების და კოლმეურნეებების შენობათა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (გაწყობილობით) ცეცხლისაგან დაზღვევისათვის ქალაქებში სადაზღვეო გადასახადის განაკვეთი დაწესებულია დაზღვეული თანხის 100 მანეთზე—50 კაპ. რაოდენობით.

14. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების—სეტყვისა და მოუსავლიანობისაგან და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველების—სიკვდილისაგან დაზღვევისათვის დაწესებული სადაზღვეო გადასახადის განაკვეთები აღნიშნულია მე-6, 7 და 8 დანართებში.

შენიშვნა. იმ მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ღორისა, ცხვრისა ... თხის დაზღვევისათვის, რაც კოლმეურნეობების სასაქონლო ფერმებშია, სადაზღვეო გადასახადი მცირდება 30%-ით.

15. იმ კულაკური მეურნეობებისათვის, რომლებიც ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, და იმ პირებისათვის, რომლებსაც საშემოსავლო გადასახადი შეწერილი აქვთ მე-3 №-ის განრიგებით, სადაზღვეო გადასახადის დაწესებული განაკვეთები ორმაგდება ერთი-სამად ყველა სახის დაზღვევის ხაზით.

16. სელისა და კანაფის ნათესების გვალვისაგან დაზღვევის გადასახადი მეურნეობებს, გარდა კულაკურისა, არ გადახდებათ; ხოლო კულაკურ მეურნეობებში სელისა და კანაფის ნათესების გვალვისაგან დაზღვევისათვის გადაიხდევინება დაზღვეული თანხის 100 მანეთზე 9 მანეთი.

17. სადაზღვეო გადასახადის შეტანისათვის დაწესებულია შემდეგი ზღვრული ვადები (პროცენტობით რესპუბლიკის ხაზით გამოანგარიშებული სადაზღვეო გადასახადის საერთო თანხის მიმართ):

კოლექტიური მეურნეობებისათვის:	25%	1932 წ.	სექტემბრის 15-ისთვის
	30%	„	ნოემბრის 1-ისთვის
	45%	„	დეკემბრის 1-ისთვის
ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის და კოლმეურნეებისათვის	20%	„	სექტემბრის 15-ისთვის
	40%	„	ნოემბრის 1-ისთვის
	40%	„	დეკემბრის 1-ისთვის.

18. კულაკური მეურნეობანი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც დაბეგრილი არიან საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგების თანახმად, იხდიან თავიანთ ხვედრ სადაზღვეო გადასახადს მთლიანად არა უგვიანეს 1931 წ. სექტემბრის 1-ისა.

19. დაწესებულ ვადაზე არ შეტანილი სადაზღვეო გადასახადი ჩაირიცხება ნარჩენად და გადაიხდევინება გადასახად-გამოსაღებთა გადახდევინებისათვის დადგენილი წესით. ნარჩენს დაერიცხება საურავი შემდეგი რაოდენობით:

ა) 0,1% კოლმეურნეობებს;

ბ) 0,2% კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს;

გ) 1% კულაკურ მეურნეობებს და იმ პირთ, რომელთაც საშემოსავლო გადასახადი შეწერილი აქვთ მე-3 №-ის განრიგებით.

20. მთლად განთავისუფლდება სადაზღვეო გადასახადისაგან:

ა) ის კოლმეურნეობა, რომელიც 1932 წელს სავსებით განთავისუფლებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) ის კოლმეურნეობა, რომელიც საგეგმო წესით გადასახლდა ახალ ადგილას.

21. ნაწილობრივ განთავისუფლდებიან სადაზღვეო გადასახადისაგან ის კოლმეურნეობანი, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან:

ა) ის პირი, ვინც დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკის და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით, და აგრეთვე შრომის გმირი;

ბ) ყოფილი წითელარმიელი და წითელპარტიზანი;

გ) ვადიანი (შეუწყვეტელი) ან ზევადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, 1932 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის რეზერვში მყოფი, საკადრო სამხედრო მსახური;

ე) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის ის პირი, რომელიც იმყოფება გრძელვადიან შვებულებაში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ან. სათადარიგოდ და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდე თუ ჯარგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ვ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გადარიცხულია გრძელვადიანი შვებულებიდან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში;

ზ) მილიციისა და გამხედროებული დაცვის (მათ შორის გამხედრობული სახანძრო დაცვის) ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შემადგენლობის მომუშავე;

თ) იმ პირის ქვრივი და არასრულწლოვანი ბავშვი, რომელიც მოკლულია კულაკობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, და აგრეთვე ქვრივი და არასრულწლოვანი ბავშვი ტყის დარგში მომუშავისა, რომელიც მოკლულია სამსახურის დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან დაკავშირებით;

ი) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც მიკუთვნებულია ინვალიდობის 1, 2 და 3 ჯგუფისათვის;

კ) კოლმეურნეობაში მიღებული საბავშო სახლის მოწაფე და უდედმამო ობოლი.

ამ კოლმეურნეობებს მოეხსნებათ სადაზღვეო გადასახადის ის ნაწილი, რაც ზემოდ ჩამოთვლილ მოქალაქეებზე მოდის.

ამის გარდა, ნაწილობრივ განთავისუფლდებიან სადაზღვეო გადასახადისაგან იმ სტიქიური უბედურებით დაზარალებული კოლმეურნეობანი, რაც გათვალისწინებული არ არის უწყებულ ადგილას შემოღებული სახის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევით.

სარაიონო საგადასახადო კომისიები და საქალაქო საფინანსო ორგანოები, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად, აწესებენ, სახელდობრ რა რაოდენობით მოეხსნას კოლმეურნეობებს სადაზღვეო გადასახადი.

22. მთლად განთავისუფლდება სადაზღვეო გადასახადისაგან კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მცირეძალოვანი მეურნეობა:

ა) უკეთუ მეურნეობის სადაზღვეო გადასახადის საერთო თანხა 1 მან. არ აღემატება;

ბ) უკეთუ მეურნეობა 1932 წელს მთლად განთავისუფლებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

23. ნაწილობრივ, არა ნაკლებ, ვიდრე ერთი მესამედით, განთავისუფლდება სადაზღვეო გადასახადისაგან კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მეურნეობა, უკეთუ მის შედგენილობაში შედიან:

ა) ის პირნი, რომელნიც ჩამოთვლილ არიან 21 მუხლის „ა"-„კ" პუნქტებში;

ბ) მეურნეობა, რომელიც დაზარალებულია ისეთი სტიქიური უბედურებისაგან, რაც გათვალისწინებული არ არის უწყებულ ადგილას შემოღებული სახის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევით, უკეთუ ეს მეურნეობა მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

გ) იმ გადასახლებულის მეურნეობა, რომელიც, თანახმად გადასახლების წესებისა, გადავიდა ახალ ადგილას—გადასახლების პირველ წელს, და აგრეთვე ის მცირეძალოვანი მომთაბარე მეურნეობა, რომელიც გადადის მკვიდრ ბინადრობაზე.

სარაიონო საგადასახადო კომისიები და საქალაქო საფინანსო ორგანოებიც ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად, აწესებენ, სახელდობრ რა რაოდენობით მოეხსნას გადასახადი ამ მუხლში აღნიშნულ მეურნეობებს.

24. იმ კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების შეღავათები, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან 21 მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნული სამხედრო მსახურნი, ძალაში რჩება ერთი წლის განმავლობაში დღიდან სამხედრო მსახურის დათხოვნისა გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან.

25. კულაკურ მეურნეობას და იმ პირს, რომელიც საშემოსავლო გადასახადს მე-3 №-ის განრიგების მიხედვით იხდის, არავითარი შეღავათი არ ეძლევა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სფეროში.

26. შემოსული სადაზღვეო გადასახადის საერთო თანხიდან 8% მიიქცევა ადგილობრივ სახსარში, სარაიონო და საქალაქო ბიუჯეტით—ხანძრისა, წყალდიდობისა და ოთხფეხი საქონლის გაწყდომის წინასწარ თავიდან ასაცილებლად და წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ხარჯებისათვის, ხოლო 2% შედის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში იმ რაიონების სახსართა გაძლიერების მიზნისთვის, რომელნიც ხანძრისა და საქონლის გაწყდომის საშიშროების მხრით ნაკლებად საიმედო მდგომარეობაში იმყოფებიან. აღნიშნული 8%-იანი ანარიცხიდან 50% შედის სარაიონო ბიუჯეტში, ხოლო 50% გადაირიცხება სასოფლო ბიუჯეტში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ივლისის 4.
ტფილისი.

დ ა ნ ა რ თ ი ე ბ ი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1933 წ. საქართველოს სოფლებში და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

დ ა ნ ა რ თ ი 1.

რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მექანიზებული ტრანსპორტი, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლისაგან და სხვა სტიქიურ უბედურებისაგან კოლმეურნეობებში (სას.-სამ. კომუნა, სას.-სამ. არტელი და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა) სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესით.

1. ტრაქტორები ყოველგვარი სისტემისა.
2. გუთნები ყველა სისტემისა (სატრაქტორო და საცხენო).
3. ფარცხები სატრაქტორო.
4. მწკრივად მთესავი მანქანები ყოველგვარი სისტემისა.
5. საცხენო ფოცხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მარცვალსაწმენდი მანქანები (სანიავებლები, დამხარისხებლები, ტრიერები და სხვა მისთ.).
7. კომბაინები.
8. რთული და უბრალო სალეწი მანქანები.
9. სამკალი მანქანები.
10. სათიბი მანქანები.
11. ძნის საკრავი მანქანები.
12. თივის საწნეხი მანქანები.
13. ლოკომობილები და სხვა მექანიკური ძრავები.
14. სეპარატორები, სადღვებლები, ცენტროფუგები.
15. ინკუბატორები და ბროუდერები.
16. მოტოკულტივატორები.
17. კოპტონისა და მარცვლის სამტვრევი მანქანები.
18. საწნეხელი და ჭაჭის საქაჩავი მანქანები, ვერმორელები.
19. მექანიზებული ტრანსპორტი.

დანართი 2.

სახ.-სამ. მცენარეების ცეცხლისაგან დაზღვევის სადაზღვეო ხაზლაურის ნორმები.

ტექნიკური და სპეციალური კულტურების სახელწოდება	ნორმები მანეთობით	ჰექტარზე
	კოლექტიურ მეურნეობისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მეურნეებისათვის
1. მარცვლეული კულტურები	75	60
2. ცერცოვანი კულტურები	120	100
3. მზეუბვრიტა	150	120
4. ნათესი ბალახები	200	150
5. სასილოსო კულტურები	75	60
6. ბოსტნები	400	350
7. ბახჩები	300	250
8. ხილის ბაღები	600	500
9. თუთის ნარგავები	250	200
10. ვენახები	800	600
11. კარტოფილი	150	120
12. ფესვნაყოფა საკვები	175	125
13. ყვითელი თამბაქო აფხაზეთში	1000	750
14. „ „ აფხაზეთის გარდა	800	600
15. ბრინჯი	300	250
16. ჩაი	800	600
17. სხვა კულტურები	175	125

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი 3.

სას.-სამ. ცხოველთა სიკვდილისაგან დაზღვევის სადაზღვეო საზღაურის ნორმები.

სხვადასხვა ცხოველის სახე	ნორმები მანეთობით სულზე	
	კოლმეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივ. მეურნეებისათვის
მოზარდი 1-დან 2 წლამდე	50	45
კამეჩი და ფურ-კამეჩი 2 წლიდან	125	110
სხვა მსხვილი რქოსანი საქონელი 2 წლიდან	90	80
ცხენი და აქლემი ორი წლიდან	100	90
ვირი ორი წლიდან	30	25
ცხვარი და თხა 6 თვიდან	20	—
ღორი 6 თვიდან	50	—

დ ა ნ ა რ თ ი 4.

სას.-სამ. მცენარეების მოუსავლიანობისაგან დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები.

კულტურების სახელწოდება	ნორმა ცენტნერობით 1 ჰექტარზე		ნორმა მანეთობით 1 ჰექტარზე	
	კოლმეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეებისათვის.	კოლმეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მეურნეებისათვის
1. ბამბა	5	4	150	120
2. კენაფი	13	12	50	50
3. სოია	6,5	4,5	100	70
4. კუნჯუთი	3	2,5	90	80
5. აბუსალათინი	4	3,2	75	60
6. არახისი	6	4,5	650	490
7. სუძა	3	2	80	60
8. თამბაქო აფხაზეთში:				
სამსუნი	6	5	900	750
ტრაპეზონი	6	5	750	600
თამბაქო აფხაზეთის გარეშე	6	5	750	600

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი 5.

სელის და კანაფის გვალვისაგან დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები.

კულტურების სახელწოდება	ნორმები ცენტნეროობით ერთ ჰექტარზე	
	კოლექტიურ მეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მეურნეებისათვის
1. სელი „დოლგუნეც“		
ა) ჩალად	15	12
ბ) თესლად	2,5	2
2. სელი „კუდრაშ“		
ა) თესლად	3	2,5
3. კანფი:		
ა) ჩალად	25	20
ბ) თესლად	4,2	3,4

დ ა ნ ა რ თ ი 6.

სას.-სამ. მცენარეების დასეტყვისაგან დაზღვევის გადასახადის განაკვეთები (ტარიფები).

სეტყვის საშიშროების ზოლები	სეტყვა-მგრძნობიარობის კ ლ ა ს ე ბ ი								
	სეტყვა-მგრძ. I კლასი			სეტყვა-მგრძ. II კლასი			სეტყვა-მგრძ. III კლასი		
	კოლ-მეურნ.	ინდივ. მეურნ.	კულაკ. მეურნ.	კოლ-მეურნ.	ინდივ. მეურნ.	კულაკ. მეურნ.	კოლ-მეურნ.	ინდივ. მეურნ.	კულაკ. მეურნ.
I	1,2	1,5	4,5	2,0	2,8	8,4	2,8	4,0	12,0
II	1,6	2,3	6,9	2,8	4,0	12,0	3,6	5,3	15,9
III	2,0	2,8	8,4	3,8	5,3	15,9	4,5	6,3	18,9
IV	2,5	5,6	10,8	4,5	6,3	18,9	5,0	7,6	22,8

შენიშვნა 1. სეტყვა-მგრძნობიარობის მიხედვით სას.-სამ. კულტურები იყოფა კლასებად შემდეგნაირად:

I კლასი: სიმინდი, ფესვნაყოფა და ბოლქოვანი (საქონლის საკვები და ბოსტნის ჭარხალი, კარტოფილი, მიწვაშლა, თალგამი, ბოლოკი), საკვები ბალახები (იონჯა, ტიმოთეს ბალახი), ჭვავი, ხორბალი, ასლი, ქერი, სორგო,

ლომი, შვრია, ფეტვი, ხორბლეულ-ცერცოვანი (მუხუდო, ლობიო, ცერცვი, ვიკა, ფასოლი), სუდანის ბალახი;

II კლასი: უგრეხელა, ბრინჯი, მარცვლოვანი, ზეთოვანი (მზესუმზირა, კუნჯუთი, აბუსალათინი, ხაშხაში), ბახჩის და ბოსტნის კულტურები (საზამთრო, ნესვი, გოგრა, კიტრი, პამიდორი), ბოჭკოვანი (ბამბა, სელი კანაფი, გოგში), სამკურნალო ბალახები, ლუფა;

III კლასი: ხილი, მხილი, ყურძენი, თამბაქო, სვია თუთა, ხილეულ-მხილეული სანერგეების ნარგავები, ჩაისა და მანდარინის პლანტაციები.

შენიშვნა 2. სეტყვის საშიშროების მხრით საქართველოს ტერიტორია იყოფა ოთხ ზოლად:

I ზოლი: ქუთაისის, ჭიათურის, ხონის, სამტრედიის, ვანის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ხობის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს და ფოთის რაიონები და აჭარისტანი;

II ზოლი: ტფილისის, მცხეთის, გარე-კახეთის, ყარაიას, ალბულახ-მანგლისის, წალკის, ბაღდადის, ჩოხატაურის და წალენჯიხის რაიონები;

III ზოლი: ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, კასპის, ხორაგოულის, ზესტაფონის და ჩხარის რაიონები და აფხაზეთი;

IV ზოლი: გორის, ბორჯომის, სტალინისის, ხევის, ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ტოლოშის, გორელოვოს, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ქვემო-სვანეთის რაიონები და სამხრეთ-ოსეთი.

დანართი 7.

სას.-სამ. მცენარეების მოუსავლიანობისაგან დაზღვევის გადასახადის განაკვეთები (ტარიფები)

	კულტურების სახელწოდება	კოლმეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეებისათვის	კულაკურ მეურნეობებისათვის
1.	ბამბა	2,2	3,6	10,8
2.	სოია, კენაფი, აბუსალათინი . . .	4,4	7,56	22,68
3.	არახისი, სუძა, კუნჯუთი	5,5	8,4	25,2
4.	თამბაქო	3,3	4,8	14,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი 8.

სას.-სამ. ცხოველების სიკვდილისაგან დაზღვევის გადასახადის განაკვეთები (ტარიფები).

	ცხოველის სახელწოდება	კოლმეურნეობებისათვის	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეებისათვის		კულაკურ მეურნეობებისათვის	
		სიფლად და ქალაქად	სოფლად	ქალაქად	სოფლად	ქალაქად
1.	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი .	2,6	4,7	4,7	14,1	14,1
2.	ცხენი, აქლემი, ვირი	4,2	8,2	9,0	24,6	27,0
3.	თხა, ცხვარი	6,0	—	—	—	—
4.	ღორი	6,0	—	—	—	—

მთავლიტი № 1779. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვ. 1905. ტირაჟი 1.400